

თანამედროვე ტექნოლოგიების როლი კრიზისისა და კონფლიქტის
მოგვარების საკითხებში

ნინო ნანიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

შინაარსი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი	3
1. რისკებისა და კრიზისების ბუნება	5
1.1. რისკი როგორც კრიზისის წინაპირობა	5
1.2 კრიზისის უწყვეტი ციკლი	8
2. კრიზისების მართვა თანამედროვე ტექნოლოგიების ერაში.....	20
2.1. ჰაიტის მიწისძვრა როგორც ჰუმანიტარული დახმარების ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისი.....	20
2.2. თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ადრეული გაფრთხილების მექანიზმები	23
2.3. Crisis Mapping: მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების მეთოდები.....	26
2.4. სოციალური ქსელების პროაქტიული გამოყენება კრიზისების დროს.....	29
2.5. საქართველოს შემთხვევები.....	33
3. თანამედროვე ტექნოლოგიები მშვიდობის მშენებლობის საკითხებში.....	49
3.1. საერთაშორისო პრაქტიკა.....	49
3.2 მშვიდობის კომპიუტერული თამაშები სამხრეთ კავკასიაში	53
შეჯამება	60
გამოყენებული ლიტერატურა	69

აბსტრაქტი

რისკები, კრიზისები და კონფლიქტური სიტუაციები თანამედროვე მსოფლიოს თანმდევი გარდაუვალი მოვლენებია. სახელმწიფო მეთაურებს, ორგანიზაციებისა თუ კომპანიების ხელმძღვანელებს გამუდმებით უწევთ ცვალებად და მზარდ საფრთხეებთან გამკლავება. მრავალი მაგალითი ცხადჰყოფს, რომ მსგავს კრიზისებს დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგი მოაქვთ, ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი მართვის სწორი და თანმიმდევრული სტრატეგიების შემუშავება და შესაბამის ქმედებათა განხორციელების ახალი მიდგომების დანერგვა.

აღნიშნული ნაშრომი კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების ეფექტურ გზად მართვის პროცესებში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას განიხილავს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საქართველოსა თუ მსოფლიოს მასშტაბით მომხდარი კრიზისული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც კრიზისის მენეჯერებს დაეხმარებათ, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კრიზისების მართვის პოლიტიკისა და ოპერაციული სისტემების შემუშავებაში.

Abstract

Risks, crisis and conflicts are imminent accompanying factors of today's modern world. Government officials, leaders of corporate and non-profit organizations are constantly challenged to deal with rapidly evolving threads. As it has been proved by many cases, crisis situations result in fatalities and material damages, therefore, it is vitally important to develop functional and consistent management strategies which will involve new operational approaches.

Presented paper proposes use of informational technologies in crisis and conflict management. Through a comprehensive analyses of available scientific literature and real cases of crises in Georgia and the broader world, conclusions and recommendations are drawn, which will help crises managers develop technology based crises management policies and operational frameworks.